



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 122

ქ. გარდაბანი

29/12/2022

122-06-4-202212291640



გარდაბნის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის 2023-2026 წლების პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტის, სამოქმედო გეგმის და ლოგიკური ჩარჩოს დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 დეკემბრის №18-1822355101 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

დამტკიცდეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი (2023-2026) - დანართი №1-ის , გარდაბნის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2023-2026 წლის სამოქმედო გეგმა - დანართი №2-ის და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიული ნაწილის ლოგიკური ჩარჩო (2023-2026) - დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

